

1914

№ 34

16 გიორგისთვე 1914 წ.

მისამართი ბოლო გორგანი

ციფრული კუთხის მიზანი

≡ 5 გან. ≡

თბილი ქადაგული საზოგადო-ეკონო.


ცალკე ნომერი 10 კაპ.

მისამართი და სალიტერატურო უნივერსი

რედაქცია ღია 9—3 საათამდე.

ფალიჯაღი გესახე

მისამართი: თბილისი, გაბაევსკის ქ. № 3 რედაქცია „კლდე“. დებულისა: თბილისი კლდე.



ვ ა რ ვ ა ვ ა.

- 1) კ-ლაშის ოვოთმ-როვე-ლობის სიხლი.
- 2) ლაზენკოვსკის სასა-ლე.

წმ. იოანეს ტაძარი.

1. მეთაური. 2. ამი და ქართველ-სომეხთა ურთიერთობა. 3. პეტეგემტივები. — მხედა-
რისა. 4. ფაუსტი — ა. შინა. 5. ბექსა. 6. ასმალეთის სასომხეთოს ბერძ. 7. უცნაური
ს პ რ ჩ ი ზ ი 0: მოწოდება. 8. ცოცხალი ლეშები. — ქართლელისა. 9. მასალები სამედიცინური კუნი-
სათვის. — მკვიდრისა. 10. გერმ. ნელთა ოცნებაზი. — დიონგენ სა. 11. ჭადანური საკონკი-
12. ჩვენი დაჭრილები. — ნაცარისი.

თბილისი. 16 გიორგობისთვეს
1914 წ.

წარსულ კვირის არ დასრულდა ქ. შ. წ. კ.
გ. საზოგადოების კრება. შესაძლებელია, დღესაც
არ დასრულდეს, მაგრამ საზოგადოება დინჯად და
დარბისლურად უნდა სჯიდეს ყოველ საკითხს. რომ
აჩქარებით და წინანდებურის მიფუჩებით არ შე-
ლახოს პატივისცემა იმ დრადი მიზნისადმი, რო
მელსაც ემსახურება ყველასაგან საყვარელი დაწეს-
ბულება. საქართვის არ არის ეხლინდელი გამგეობის
გატარება კრიტიკის ქარცეცხლში, საქართვის არ
არის საყველურები, თუნდაც მეტად საფუძვლიანი,
თუ ყველაფერი ძველ წესზე დარჩება და არსები-
თი ცვლილებაზი არ იქმნა შეტანილი ამ საზოგა-
დოების ორგანიზაციაში. წარსულ ნომერში ჩვენ
უკვე გვქონდა ბაასი იმ ძირითად ცვლილებათა შე-
სახებ, რომელიც აუცილებლივადა სჭირია საზოგადო-
ების და დღეს მარტი ერთი და უნდა დაუმატოთ,
რომ შეძლების დაგვარად გავთანტოთ ის ბურუსი, რო-
მელსაც იხვევს საგანსა ვინე ბატონი ჯაფარიძე „სახ.
ფურცელში“. „სახ. ფურც.“ კვლავ უთმობს ადგილს
ისეთ წერილს, რომელიც გამგეობის ოფიციონურ
დაცვის მოგვაგონებს, თითქო საზოგადოებაში მართ-
ლიც ყველაფერი თავის რიგზე კეოდებოდეს. ჩვენ
არა გვსურს კამათის გამართვა ამ საკითხზედ. რად-
გან ყოველმა გულწრფელმა აღამიანმა რომ გულ-
წრფელი დაიდოს და მართალი სთქვას, უნდა აღ-
ნიშნოს დღევანდელი უმწეო მდგომარეობა საზოგა-
დოებისა. ჩვენ გვეხმის, რომ საყვედურებით და და-
მნაშვერთა გამოძებნით საქმე არ გამოსწორდება, მა-
გრამ აუცილებელი საჭიროება მოითხოვს — შეიცვა-
ლოს ის პირობანი, რომელნიც იყენებენ საზოგა-
დოების ამ უმწეო მდგომარეობაში. ამ პირობათ
გარდაქნია პირველი მოვალეობაა ყოველი გულ-
წრფელი ქართველისა და მათი მიჩმალვა წუწუნით,
რომ აქტორები საზოგადოებაში 2—3 თუ მოიძებ-
ნება განვეობის შესაფერით — ტურისუბრალო სი-
ტყვების ხარჯვაა. შესაფერი ხალხი ბევრია, იქნებ
ეხლიანდელებშიც, მაგრამ ისეთ პირობებში უნდა

იყვნენ, რომ საქმის პატრონობა შეეძლოთ. უნდა
სამუდამოდ განიდევნოს ის დახავსებული აზრი, რომ
წ. კ. გ. ს. საქმე მარტოოდენ საქველმოქმედო და
საპატიო არის. იგი დიდი ეროვნული საქმეა და
საქმეს ყოველოვის მოსიქმენი უდნა პყავდეს, ნამ-
დვილი შუშაკი. მაშ მოუწოდებთ კრებას, არჩევ-
ნებშიაც იხელმძღვანელოს მხოლოდ ერთის მოუკი-
ვით, რომდენად შეგნებული იქვს ისარჩევ პირს
თავისი მოვალეობა და რამდენად შეუძლიან ეს
მოვალეობა შეასრულოს.

ოქთ და ქართველ- სომეხთა ურთიერთობა

ომამდე ყველაზ კარგიდ იცის, რა უთანხმოე-
ბანიც იყო ქართველ-სომეხთა შორის, ამ უთანხმოე-
ბათა ფორმები და მათი დახასიათება სხვ - და - სხვა
სახეს იღებდნა უმთა ვითარებაში და რომ ნათელ-
ვყოთ დღევანდელი მოსპობა ამ უთანხმოებისა, სა-
ჭიროა ზოგიერთი მათგანი მოვიგონოთ.

პ. ნ იშხანიანის და უკანასკნელიდ გამოსულ
„Кавказский журналистъ“ ის*) თანამშრომელის აზ-
რით, ქართველ-სომეხთა ურთიერთობას ის გარემო-
ება შობს, რომ ირლევა ქართველთა რეაქციონურ-
ფერდალური წესწყობილება, რომ ადგილი დაუთ-
მოს სომეხთა პროგრესიულ-კაპიტალისტურ ხანას
და ამ ბურჯუაზიის და უერდალების დავაში სცდი-
ლობენ ჩაითრიონ ქართველი და სომხური დემო-
რატია ირამკითხე მოამბებებმა; ჩაითრიონ ის ხალხი,
რომელსაც არსებოთად უნდა მეტად აინტერესებდეს
კაპიტალისმი; ვიდრე ფერდალიზმი. ჩვენ აქ არ შე-
უდგებით კრიტიკას იმ ყალბი დგბულებისას, ვითომც
ეროვნულს მომენტს არავითარი მნიშვნელობა არა

*) ეს ნომერი გამოვიდა ამ ერთი კვირის წინად,
რომა ფულს აგრთვებდნენ დაჭრიდთათვის.

აქვს ამ დავაში და მთელი საკითხი იშრიტება გან-
საკუთრებით წოდებრივ და კლასობრივ ბრძოლით; ამაზედ იღირაფერს ვიტყვით, რადგან ჩვენი მკით-
ხველი უკვე იცნობს ჩვენ აზრს ბა იშხანიანის წიგ-
ნის გარჩევი უან.

შეორე სადათ საკითხია ტერიტორიის საკითხი,
რომელიც უკანასკნელ დროს სხვა-და-სხვა პირობე-
ბის ზეგავლენით ექარგება ქართველობას და გადა-
დის უცხოვლების ხელში, ნამეტნავად სომხებისა,
როგორც უფრო შეძლებული ელემენტისა ამიერ
კავკასიაში

შესამე და უკელახედ მწვავე საკითხი ჩვენს შეუ-
სადათ, საკითხია პოლიტიკური. უკანასკნელი, რა-
საკეირველია, ბევრი მაზეზის გამო, ეფარება ეკო-
ნომიკურ-სოციალურ საკითხებს, იღებს ისეთ უცნა-
ურ ფორმებს, როგორც მაგ. პოლიტექნიკურის სა-
კითხი, გუბერნიის გადამიჯვნა, რეალური მოსახ-
ლეობა და სხ. და სხ.

მაგრამ უკელა ეს საბაბები ქართველ-სომხეთა
უთანხმოებისა, დღევანდელი ობის და მისგან გამო-
წვეულ პოლიტიკურ-სოციალურ ცვლილებათა მო-
ლოდინის ხიდიადემ შთანთქა. დღეს არ ისმის ლა-
პარაკი კავკასიაში რეალურ მოსახლეობაზედ, არ
იშომება არსებულ გუბერნიის საზღვრები და სხ.,
რადგან დღევანდელი საერთო გასაჭირი მეტად დი-
დია, რომ აღნიშნულმა „წვრილალებმა“ შიიქციონ
უურადღება, მაგრამ მაინც საჭიროა გაუზიაროთ
ერთმანეთს ჩვენი ზრახვანი, რომ გაუგებრობით არ
გართულდეს შემდეგში ჩვენი ურთიერთობა.

სომხური პრესა უკანასკნელ დროს თამამად
აუქნებს ერთ ფრიად საგულისხმო საკითხს: ისმალე-
თის სასომხეთოს განთავისუფლების. ეს პოლიტიკური
ლობუნები თითქმის მთელ სომხობის აერთიანებს მი-
მართულების განურჩევლიდ. ზოგიერთ უთანხმოებას
იწვევს მხოლოდ კონკრეტული ცოტნა ამ თავის
სუფლებისა: ზოგს სურს აფრიკომის /რუსეთის პრო-
ტეპტორატით, ზოგს კიდევ ავტონომია დიდ სი-
ხელმწიფოთა გარიბებით; ზოგია ისიც კი სოჭვა,
რომ რუსეთის ს-ხელმწიფო სახლს ბევრი პატავს უფ-
ლისწული, რომელსაც სომხეთის ცალკე პრინციპია
შეეძლო და სხ. და სხ. კედლი ეს და ბევრიც სხვა

სურვილი ჯერჯერობით მხოლოდ საგაზეთო სურვი-
ლადა რჩება იმისდა მიუხდაფად, რჩებ რუსეთის
პრესაც ეხება ამ საკითხს და ასე თუ /სუ/ ამნენევებს
სომხებს თავისუფლებისათვის ფავრულ ფრენტირავად.
რამე რეალური, პოლიტიკური თაშმასუქი ან თუნ-
და დაბირება მაინც, სომხებს ჯერ არა აქვთ—უო-
კელ შემთხვევაში ჩვენ არ ვიცნობთ—და ძნელია ლა-
პარიკ იმაზედ თუ სინამდვილეში რა სახეს მიიღებს
სომხების დღევანდელი მისწრაფება. არიან მაგალი-
თად ისეთებიც (რუსებში და სომხებშიც), რომელ-
ნიც უბრალო შემოქრთებაზედ ლაპარაკობენ ოსმა-
ლეთის სასომხეთოსი რუსეთთან.

ნაგრამ საკუთრისი არ არის ვისმე რამე სურდეს,
ოუნდაც ეს ვინმე მთელი ერიც იყოს, რომ ეს სურ-
ვილი რეალურ სახეს მიიღებდეს,— ამისთვის საჭი-
როა გარდა შესაფერ პირობებისა, და მათი ლრმად
აწონ დაწონვისა,— საკუთარი უნარი და ძალაც მის
მოსაპოვებლად. იმ სწორედ ამ ძალაზედ და პირო-
ბებზედ გვინდა შევჩერდეთ კოტა, რომ შემდეგში
გაგვიადვილდეს ახსნა იმ მოვლენათა, რომელნიც
გავლენას იქონიებენ კავკასიელ ერთა ურთიერთო-
ბაზედაც.

სომხეთის ავტონომია ოსმალეთში ფრიად სი-
ინტერესო იქნებოდა, ნამეტნავად ქართველებისათ-
ვის, რადგან ესეთი მოწყობა სომხეთისა ერთის და-
კვრით გადასჭრიდა ჩვენი ურთიერთისადმი უკანასკნელ-
ფილებასაც, ვინაიდან განცალკევდებოდა სფე-
რო ჩვენის ცხოვრებისა: სომხებისათვის რეალური
და მთავარი ბაზა გადავიდოდა ბუნებრივად ეხლან-
დელ ოსმალეთში და ჩვენ, ქართველებს, არა და-
კვჭირდებოდა გაფანტება იმ უცნაური სახელწოდე-
ბისა, რომელსაც დაეინებით იჰორებენ უკანასკნელ
ჩანებში სომხები: კავკასიელი. „იღარ უნდა იყოს
ქართველი, სომხი, მუსულმანი, არამედ კავკასიე-
ლი“, იმეორებენ დოლუხანოვები, ხატისოვები,
და სიბირსკებიც... (ეს მთ უფრო უცნაურია დღეს,
როგორც მთები ქავენიერებაზედ იმარჯვებს სწორედ ერთ-
ნებულ პრინციპი და უკედანი, მათ დაცხეშა სიმხებიც
განსაკუთრებულ ეურადღებას აქცევენ ერთეულას, ერს...
აქ კი შეთხულია რადაც „კავკასიელი“).

მაგრამ შესაძლებელია თუ არა განხორციელდე-

ლება? სომხეთის ავტონომიისა თსმალეთში? ჩვენის აზრით, იმისათვის, გარდა თსმალეთის დამარცხება- ვანაწილებისა, საჭიროა ერთი უმთავრესი პირობა, რომელსაც მოითხოვს ხოლმე რეალური პოლიტი- კა: მოსახლეობის ერთგვარობა. ეს უკანასკნელი კი თვით სომხურ თპტიმისტურ ცნობებით არ აღემა- ტება „სომხურ“ ვილაიეთებში 38 პროცენტს. მარ- თალია, დანარჩენი მოსახლეობიც ცალ-ცალკე არ წარმოადგენენ უმრავლესობას, მაგრამ დღვეანდელი საერთაშორისო პრინციპების მიხედვით, რაც უნდა იყოს, არავინ მოინდობებს დაუმორჩილოს 38 პროც. სომებს დანარჩენი 62 პროც., თუნდაც უკანასკნელნი სხვა და სხვა ერთვნებისაგან შესდგე- ბოდნენ; და თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ ნამდვილში სხვა ერცბი 62 პროცენტსაც აღწ- მატებიან, საუბედუროდ სომებთა ოცნებინი პოლი- ტიკურ ოცნებადვე დარჩებიან, რასაც საჭმის რეა- ლური მსვლელობაც იმტკიცებს. მაგრამ თუნდა ესეც არ იყოს, საჭიროა სომხების მომხადებაც ასეთი პოლიტიკური ორგანიზაციისათვის, კინა- იდან გამარტინების საშუალებით ავტონომიის და- პირებაზედ და მოპოებაზედ იღვილი არა- ფერია... ნაშეტნავად მაშინ, როცა მთავრო- ბა ამის ნების ვაძლევს. საკმარისი არ არის ისიც, რომ „სომებთა უმოწყალო ქლეტა საკმაო მსხვერპ- ლია იმისთვის, რომ სომხები ავტონომიის ღირსად ჩაითვალინენ“. ესეთი სიტუაციი პოლიტიკურ ლექსი- კონში გულუბრუვილობად ითვლება. პირიქით, სომ- ხების ელეტი რომ არ შესძლებოდათ თსმალებს, მა- შინ სომხების ავტონომია ბევრად უფრო მოხლო- ვებული იქნებოდა. იმ ამიტომ ჩვენ გვესმის, რო- დესაც სომხების თავისუფალ მოხალისეთა რაზმები სდგება აქ, კავკასიაში, და თსმალეთში, რომ წინააღ- მდეგობა გაუწიონ ქლეტას. მაგრამ პოლიტიკურ სიბეჭდებული უნდა ჩაითვალოს ამავე დროს წამოყენება ის საბუთისა, რომ სომხებს ხოკიავენ თსმალეთში. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ ელეტი, მათი უძლურების მაჩვენებელია, და უძლურებას, პოლიტიკურში საბუ- თად არა ხდიანობენ არასოდეს. ან სიღდან უნდა წარმომდგარიყო სომხების ძლიერება, როდესაც სა- უკუნოებით სტევნიდნენ მათ. საუკუნოების განმავ- ლობაში შეიქმნა ტიპი სომებს ვაჭრისა, რომელმაც

შეიძინა ეკონომიკური კეთილდღეობა, მაშინ როდე- საც დიდი მასში სომხის ერთი სილარიბებსა და სა- კულტობაში ლევს სულსა თსმალეთშიც და კავკა- სიაშიც. ამასთანავე მარტო ეკონომიკური ძალა სა- კმაო არ არის პოლიტიკური უწყებელი შექმნისა- თვის, რომელიც თანაბრივ მოითხოვს ფინანსურ- ეკონომიკურს და აგრძელებული ძალა სიძლიერეს. უკანასკნელის მხრივ კი სომხის ერში ვერ შეიქმნებო- და საჭირო ჯავი, რადგან მისი შექმნა რამდენიმე თაობის და ათი თაობის უხოვრებაზეა დამოკიდებუ- ლი. სომხის ერთი, რომელიც უკანასკნელ საუკუნე- ების განმავლობაში განიცდიდა პოლიტიკურ დაცე- მას და მისდევდა განსაკუთრებით მიწად-მოქმედება- სა და აღებ-მიცემობას, ბუნებრივად ჰკარგავდა სამ- ხედრო უნარს, რომელიც მაგალითიდან შერჩათ თუნ- და ჭართველებს. ეს ბუნებრივი განსხვავება დღესაც ყოველ შხარეს იჩენს თავსა და ამიერ კავკასიის მმარ- თველობაც კი შეიყვანა შეცდომაში, როდესაც მშვი- დობიანობის დროს გამოჩენილი უპირატესობა, ომია- ნობის დროსაც უნდა გამოეჩინებინა სომხებისათვის. ახლა ვიფიქროთ, რითი დაიცავენ სომხები თავის ავტონომიას, თუნდაც მიიღონ იგი პოლიტიკურ თრგანიზმის დაცვისათვის საკმაო არ არის ფული და თუნდაც საკმაო იარაღი — საჭიროა იარაღის თავვან- წირული მატარებელიც და სწორედ ამას ვერ ვხ- დიდ საკმაო ფარგლებში განვითარებულს, რასაც უკანასკნელი დროის ამბები ამტკიცებენ.

ამ გვარიად, ის, რაც მთელ სომხურ პრესას და ჩვენც სასურველიდ მიგვაჩნია, ფაქტიურად მეტად ძნელი განსახორციელებელი იქნება, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ სომხების საკითხი უფრო მარტი- ვად და ჭართველ-სომხების ურთიერთობისათვის არა სასურველიდ გადასწყდება და თსმალეთის სომხეთი, თუ რუსეთმა გაიმარჯვა, პირდაპირ შემოერთებული იქნება. უკანასკნელი კი ომის შემდეგ უფრო ცხად უნდა პყოფდეს ჩვენ მიწა-წყალთა შეა სადეპარტაციო ხასის გავლებას. მაგრამ ამიზედ შემდეგ იყოს.



სამალეთში მომვედი სომეხთა რაზმელების ტი-
პები.

პერსპექტივები ..

ზოგი შეიძლება პარადოქსადაც ეჩვენოს, რომ საერთაშორისო ომი მხოლოდ იწყება და კი არა თავდება, მაგრამ ღრმად თუ ჩაუკვირდით იმ ამბებს, რომელიც განუწყვეტლივ მოაქვს ტელეგრაფია და გაზეთებს—ამის გამოაშეარავება არც ისე ძნელია. თუმცა ამის დასაწყისში ბევრსა სწერდნენ იმაზედ, რომ გერმანის შიმშოღი და ეკონომიკური კრიზისი უზალ დასუმს, ვიდრე მოკავშირეთა ჯარები დაა-მარტებენ, მაგრამ თვით მისი შტრების მსოფლიო ბანაკებიდან დაფინანსით მყორდება ის იხრიც, რომ ის ქვეყანა, რომელიც ორმოცი წლის განმავლობაში ემზადებოდა სწორედ იმ მისიათვის—საქამოდ მო-ეზადა ყოველმხრივ რომ ამის ხანგრძლივობასაც გაუძლოს.

ეჭვი არ არის, საბოლოოდ გერმანია დამარ-ცხდებული იქნება, თუ მსოფლიო ძალთა დღევანდე-ლი განაწილება ამავე პროპორციით დარჩა, ან უმცირეს, თუ მოკავშირებს, როგორც მოსალოდნე-ლია, სხვანიც მიემატნენ; მაგრამ არ უნდა დავი-ვიწყოთ მთავარი დებულება, რომ დღევანდელი მებრძოლი და ირამებრძოლი სახელმწიფონიც გან-საუკრებით თავისი კერძო, ეგოისტური მოსაზრე-ბიდან გამოდიან და მაშასადამე მათი ძალთა ზრდა დამოკიდებულია არსებულ სტრატეგიულ მდგრა-დების ვითარებაზედ. ვინც გამარჯვებით ივლის, მისი ძალაც გაიზრდება შიგნით და გარეშეთაგანაც,

რადგან მხოლოდ გამარჯვებულის მიმხრობა, მომა-წივებულია მომავალის მოგებისა, გარეშე მდგრა-ხელმწიფოთათვის, მართალია, აქ რომელი თანამობის უფრო ეგოისტური მოსაზრებაც: სეინის კურება, ვიღრე მოწინააღმდეგენი კრიმინული კურსების სახლოოდ, მაგრამ ესეთი პოლიტიკის წარმოება მხოლოდ ისეთ დიდ სახელმწიფოთ შეუძლიანო, როგორც მაგ. შეერთებული შტატებია. ბულგარე-თი, რუსინია, ავღანისტანი, ჩინეთი და თვით იტალიაც მხოლოდ დროს უცდიან, რომ ჩერიონ ომში და იხელთონ რამე.

რაღა თქმა უნდა, ისეთი დიდი სახელმწი-ფონი, როგორიც არის ავსტრია და გერმანია ერთის მხრით და რუსეთ-ინგლის-საფრანგეთი, მეორეს მხრით—აღვილად არ დაჰყარიან იარაღს და მართ-ლაც საბოლოო გამარჯვებამდე იბრძოლებენ მსოფ-ლით ბატონობისათვის. ამიტომ ეს ბრძოლა შეუძ-ლებელია თავისითაც მაღლ გათავდეს, მაგრამ ის გაგრძელებას უეჭველად გამოიწვევს სხვა სახელმწი-ფოთა ჩარევაც. ყოველ ვაჟს, ყოველ სახელმწიფ-სა აქვს პროგრამა მაქსიმუმი, რომელისათვისაც ის ემზადება, თუ პოლიტიკური ილოო აქვს და არა-სოდეს ისეთი დრო არ დასდგომია ქვეყნიერებას, როგორც ებლანდებული, სავსე ყოველგვარი შესძ-ლებლობით. აი ეს შესძლებლობა თავდები იმისა, რომ ომში ჩაუტრეველი არ დარჩება დღეს და ხვალ თუ არა, ზეგ მაინც, დანარჩენი ქვეყანაც. ბულგა-რეთი, რუსინია, პორტუგალია, საბერძნეთი, იტა-ლია და სხ. ხომ უკვე დაჭიმული ნერვებით აღვენე-ბენ თვალყურს ამის მსვლელობის, რომ იმათაც ფეხი გამოყონ და შორეული შტატები, ჩინეთი, და ავღანისტანიც პაერსა ჰყნოსავენ — ჩვენთვისაც დად-გება ომში ჩარევის დრო თუ არაო. ასეთ განწყო-ბილებას ართულებს და ამწვავებს ათასგვარი სხვა ინტერესებიც, რომელთა ზეგავლენით ამერიკა ეკო-ნომიკურ კრიზისს განიცდის, ჩინეთში აჯანყებას ელიან, აფრიკაში უკვე ხდება კიდეც და სხ. და სხ.

ერთი სიტყვით დღევანდელი ამი, თავისი უდი-დესი და უსასტიკესი ბრძოლების მიუხედავად, მისი თვალუწვდენელი ფრთნტების და უთვალავი ჯარე-ბის მიუხედავად — მხოლოდ დასაწყისია უფრო დია-დი მსოფლიო ტრაგედიისა, რომლის მოწამენიცა ვხდებით.

ამ დიად ტრაგედიაში, საცა იმსხვერევა კატა-სტროფიულად ყოველი წინანდელი კულტურა და იდეალი, რომ ახალს დაუთმოს ადგილი, ძნე-ლია გათვალისწინება მომავალისა, მაგრამ ადამიანის

გონებას ერთი და ოშობინებს, რომ მთელი ამ ტრაგედიის მსვლელობიდან, ყოველ კუთხის მხოლოდ თავისი ზომის მსხვერპლი მოელის უკეთესი შომავალისათვის. ოშობინებს ის თბილქოური და იმავე დროს ეგოისტური ფსიხოლოგია, რომ ქვეყნის ნგრევის კატასტროფიდან, მას უწევს მხოლოდ ის, რაც მის საკუთარ კიდევებზე მოხდება. ოშობინებს ისიც, რომ იმედი, მანათობელი ცხოვრებისა, ეხლა მხოლოდ კარგს უქადის კაცობრიობას, რადგან უაღრეს მსხვერპლს, ადამიანთა სიცოცხლისას, უაღრესად შილალი ჯილდოც უნდა ელოდეს მერმის.

მხედარი.

3. გ ი რ ა მ ა .

ლ ა ლ ს ტ ^{*)}

ტრაგედიის პირველი ნაწილი

(დამქა, ქრის ძეებულების და გოტიურის თათახში მაგიდის წინ საფრანგეთში ფაუსტი მოუსდენილ ხის).

ფაუსტ. ეჭ, შევისწავლე ფილოსოფია,
კანონმდებლობა და შეურნალობა,
აგრედვე დადის, მხერვალე ჯაფით
ჩემს სამწუხაროდ დვის მეტყველობა,
მაგრამ, ვაი, რომ დავრჩი საბრალი
კვლავ უგუნური ბედურულ დღიანი,
ვით უწინ ვიყავ, ეგრევ ჰევიანი!
მცნობენ მაგისტრად, მცნობენ დოქტორად.
ხარისხი ჩემი ესრე მდებია
და მოწაფენი წალმა-უკულმი
ჩერჩეტად ათს წელს მიტარებია
და მხოლოდ ვხედავ ჩემს სავალალოდ
არაფრის ცოდნა არ შეგვძლებია!
აი, ეს სტანჯავს! ჩემს გულს, გონებას!
აი, ეს უსპობს სულს მოსვენებას!
მე თუმც ვჯობივარ სხვა სულელებას:
დოქტორებს, მწერლებს და ხუცესებსა,
არცა მაწუხებს ეპვი და რყევა,
არც ვუკროთ ქვესკნელს, არც ეშაკება—
მისთვის წარელტო გულს სიხარული,

შეება შეიქმნა ჩემთვის დანოქმული!
ფუქრად არ მომდის, არც მომაქვთ თვით,
ვითომეც შემეძლოს რამის სწავლება/
კაცთა ცხოვრების მოსაგვერფებულება!||
სიმართლის გზაზე დასაუკრძალად!||||
არ მაქვს სიძლიდრე, არცა ქონება,
არცა პატივი, არცა დიდება,
ვარ მოკლებული ამა მსოფლიურს
შედიდურობას და ბრწყინვალებას!||
არც ერთი ძალი არ ისურვებდა
ასეთ ყოფაში კიდევ ცხოვრები!||
მიტომ დავიწყე შემდევ მისნობა
ეგების მავნე სულთა შეწევნით
იმათის ძალით, იმათის ენით
ზოგ საიდუმლოს მიმელო ცნობა,||
რომ აღარ მეთქვა კვლავ თფლის დენით
რაც არ ვიცოდი, არცა მესმოდა
და არცა რამე გამევებოდა.
რომ განმექვრიტნა, თუ ამ სამყაროს
წილ შინაგან რა აკავშირებს,
შემეგნო ძალა შემოქმედისა
და დავხწევოდი მე ფუჭსა სიტყვებს!

ას, ნეტამც მთვარევ, პირბალრო მთვარევ, შეგ
შუქთა კრებას
უკანასკნელიდ ჰევენდე ჩემს ტანჯვას და მწე
ხარებას,||
როს მე მრავალჯერ შუალამენი გამიტებია
იქ ამ წიგნებსა და ქალალდებში ჩაფლულისათვის
შენ, თანაგრძნობის ნილვლით ალსავსევ, გამო
ჩენილხარ
და შუქი ჩემთვის მოგიფრქვევია||
ას, რომ შემეძლოს ეთის წვერვალიამდის მე
ამაღლება,||
მაგ შენს საყვარელს ბრწყინვალე შუქში შე
მოერთები,||
რომ მაღლა მყოფსა სულებთან ერთად ლა
ლად მეფრინნა
და შენს წილუოტში ფამსა ბინდისას შვებით
მეონინა,||
რათა ყოველგვარს ცოდნისა ბურუსს მთლიად
განყვრილიყავ
და ჩემს საავოდ შენს ციურს ნამში განვბანი
ლიყავ!

ვაგლახ! კვლავ დავყო მე და დილევში?
ყრუ და დაწყევლილს საბუროსილებში?

*) თარგმანი გერმანულიდან, ა. შანშაშვილისა.

საღ თვით სამო სხივი ციური
ფერად სარკმლიდგან ნაღვლით მინათებს,
შემოვჩლულულვარ წიგნთა გროვისგან,
როც აჩენიათ საღირლნათ მატლებს
და შემცვარტლული ძველი ქაღალდი
ფარდად იკვრია მათ მაღილს თახჩებს.
შემის ქილები შემომწყრივებით,
კედლები სავსე ხელსაწყობებით,
ჩემსა გარშემო შამა-პაპური
სახლის სამკობი ივეჯი ძველი;
აი, ეს არის შენი სამყარო!
ეს არის შენი წუთი-სოფელი!

და ამის შემდეგ კიდევ კითხულობ
თუ შენი გული რად იხუთება?
სიცოცხლისადმი მიღრეკილება
უცნობის ტანჯვით რად იმორკება?
პუნების ნაცვლად, საღაც შემოქმედს
ადამიანი მოუქცევია,
შენ, ჩამხრივალს კვამლში და საღამპლეში,
სიკვდილი, ნორჩი გარს გახვევია!

აღზდებ! გაფრინდი ფართო მდელოსკენ,
მიიღე ლხენა, სიტებო შეებისა!
განა არ კმარა გზის გასაკვლევად
ნოსტარდამუსის წიგნი გრძნებისა?
მაშინ შეიცნობ ვარსკვლავთ მსვლელობას
და როს ბუნება ზეშთაგონებს,
ძალი სულისა ზეამაღლდება
და ვით საუბრობს სული სხვა სულთან
მას შეიგონებს.

აცაოდ პფიქრობ, მშრალი გონება
წმინდა ნიშნისა იყოს ამხსნელი;
თქვენ, ჰეი, სულნო, ჩემსკევ მოფრინდით!
აწ მიპასუხეთ, თუ გესმით ჩემი!

(ჭრის წიგნს და მაკრაკსმუსის ნიშანი უძრენს)

ვიშ! რა სიცოცხლემ გადმოსჩერეთა ამ სანახავში
და მან პირველად გაირბინა ჩემს გონებაში!
ვგრძნობ ახალგაზრდულს და ლვთაებრივს სი-
ცოცხლის შეების,
რაც ძარღვებში ამდინარებს მხურვალე გზნე-
ბას.

ეს ღმერთი იყო, ვინც დახატა ესე ნიშანი,
რითაც მიყუჩდა შინაგანი სულის ლელვანი,
საბრალო გული სიხარულით, შეებით იციება
იდუჩალობით სავსე ლტოლვით და მისწრაფებით

ბუნების ძალის მისგნით ირგვლივ ფართა ებ-
სნება
ღმერთი ვარ განაზ ჩემთვის ახალ უკველი
მჩათობს!
ვხედავ ამ სპეტაკს სანახავში მარტინი შე
ბუნება იგი შემომქმედი ჩემთვისა ცნადობს
და აწ პირველად შეეგენ თუ ბრძენი რას
ამბობს:
„სულის სამყარო უსაზღვროა და მარად ხსნილი,
„იზრია შენი ღახშელი და გული კი მცვდარი!
„აღზდექ, მოწაფევა განიბანე ცისკრის სხივებში
„ეკ მიწიური მცერდი შენი მოუსვენარი.

(გამოსახულებას აკვირდება)

როგორ ყოველი მოლიანობას მიესწრაფება,
ერთი თავს პბადებს მეორეში, სიცოცხლე
ჩნდება.
ცის ძალნი როგორ ემხობიან, კვლავ ზესდგე-
ბიან
და ოქროს ჭურჭლად მთელს სამყაროს მიეწ-
ვდებიან,
კურთხეულ სუნთქვით ციდან მიწას ემსჭვალებიან
და ხმაშეწყობით ყველაფერში ხმაურდებიან!
რა თამაშია? მაგრამ უავლახ მარტო თამაში?
შენ, უსაზღვროთ ბუნებაო, მოგაგენ რაში?
სად გაეცს გულ-მცერდი? შენი წყარო ცხოვ-
რებითია!

ცა და ხმელეთი სულდგმულობს და მასზე
ჰკიდია!

იქთ ეს გული, მცენარი გული მოისწრაფება,—
ის ავსებს სოფელს, ის ანახლებს, მისით ირ-
წყვება!

იქით ვისწრაფვი, მაგრამ ვაგლახ, მე ღრმა
სურვილი
აშაო წიტვრად სატანჯველად გულშივე მრჩება!

(ჭრისკენთვებით ჭრის ფერცებს და მიწის სულ
აცხერდება).

რარიგ ვარდაშენა ამ სხვა ხატებამ!
შენ, მიწის სულო, უფრო ახლო ხარ!
ვგრძნობ, ჩემი ძალი თავს იწევს მაღლა.
ვენთები, თითქოს ლფინით დავმორალვარ!
ვგრძნობ გულაღლობას, რომ სამყაროს გავუთა-
მადე,
აწ მზად ვარ ვზიდო სოფლის ტანჯვა, ლოფ-
ლის სიამე,

მძაფრსა გრიგალისა შევებრძოლო, თავსა ვსწი-
რავდე
და დანოქმის ფამსა არ გავივლო შიში, ძრწო-
ლა მე.

მოვარე ღრუბლებს ეფარება—

ჩემს გარშემო იბურება—

ლამპარიც ჰქრება—

რა ხმაურდება?

წითლად სხივებმა იელვეს თავზედ!

ჯურლმულით მოშხუის გრიგალი საზარი.

შემიპყრო გლახ შიშმა და დამცა თავზარი.

ვგრძნობ, სულო მქროლავო, ჩემს ირგვლივ

შენა ხარ!

გამოჩნდი!


ჰა! რარიგ ჩემს გულში ბორგაცკ და მაშტო-
თებს.

მთლად აბალ გრჩნობისკენ გონება მიტაცებს.
მთლად ჩემი ეს გული აუჭირებულებალვის
შენ უნდა გამოსჩნდე? შენ უნდა გამოსჩნდე
თუნდაც რომ ეს ხილვა სიკოცხლედ მიღირდე!

(ხელში ჭიათურა წიგნს და იდუმალაბით ადგსილია ზე-
სულის ნიშანს ამბობს. წითელი ადა იედუებს და გა-
მონა დება ზესული).

ა. გ.

(შემდეგი იქნება).




ბელგიელების ტუვის მფრევეველები, რომელშიაც ძალლები ჰყავთ
შებმული.

პ რ ე ს ა

6 გიორგობისთვის ნომერში გაზ. „ნოვოე
ვრემია“-ს მეთაური წერილი შეეხება გერმანიისა-
გან ვითომ და გაუთავებელ ცდის, რომ რომელიც
სამტროდ გამოსულ სახელმწიფოსთან ცალკე ზავი
ჩამოაგდოს და იმ ცდის „ნოვოე ვრემია“ სასტიკალ
ჰკოცხავს, შემდეგის ფორმით:

„შეუღი ძალა გურმინებ შებდიცისტების და

საზოგადო მოღვაწეებისა მიმართულია იქითქენ, რომ
მთელი სიძულეებით მიმართული იქთს ინგლისელებ-
ისაკინ. ფოთილი ქადაქის თავი ბოზნანისა გიტინ-
გი, რეპერიც ეხდა ერთ-ერთი ბანკის გავლენანი
ხელშეღანებია შეერთებულ შტატებმა. ასე ასესი-
ათებს ამ განწყობილებას, — რომელიც უკადრეს ის-
ტერიორით გადარეულ გოგოს (1) და არა კომუნიკირის ყო-
როსია: „დმიტრი, ჩენ გვერდავება ეს კაიძერა-
თა და ავაზაკთა ხალხი, (ან ლა... უდიში) რა მეტაც-



ც ე რ მ ა ნ ე ბ ი ს ი ლ
მ ა მ ა მ ი ს ი ლ ი ს ი ლ

ანტვერპენი. ცენტრის სადგური.

სისხლით მორწეო მოქადა დედამიწა. ფრანგისადა-
მი ჩვენ თანამშრომათა გარო გამსჭვალები და
სისრალებითაც; სიძღვადი რესპუბლიკისადმი თანხა-
თას ხელდება. ვირიქო, ინდლასელებისადმი სა-
ძღვიდა თანხათას იზრდება შეუგავებდაც. ინგლი-
სების ჩვენ გებრძოლებით უკარისტედ ადამიანებ-
დას; ჩვენ არ მოვითხოვთ ბოდის და არ კრი-
ონადისებს არ დაგზაფთ". ეს რომ კათოკა,
დარგმისტრი დაუსტი, რომ ეს სიტკები ფასატი-
კისის ვა არა, არამედ საზოგადოების დაძღვან
მოდესტის გარმოთ ქარმოთ ქმულით.

ამ შეიძლება არ ადინობნოს, რომ ინგლისელებ-
იც ასევე უპისუხებენ ცერმანების. ცნობილია რო-
მანისტრი უკანი სწერს „ტამესი“ ამ ხასიათები,
რომელსაც შიაღებდა ამი, თუ ვინიც ამა ცერმა-
ნების დასტი მოახდინეს ბრიტანიის კუნძუ-
ლებზედ. ეს წერილი, — ამითს „ნორე კრემია“
უნდა გადამის გამარა იმ იურისკანსეულტები, რო-
მელჩიორ ახლანდედ დროში თავს ატესენ ცერმა-
ნიზმთან ბრძოლის საკითხს. ათუ საქმე ცერმანე-
ბის გადმოსხმაძე მივიდა, — სწერს უკანი, —
ჩვენ ძალის ცოტა ანგარიშს გაუწევთ თეთრეტი-
კოსებისაგან შეთხხედ წესებს. ჩვენი ბრძოლა
ცერმანებისთვის სამკუდრო-სასიცოცხლო იქნებათ.
და, კერძერტები და სპეციალისტები საკრთამორი-
სო უფლებისა ნებ გვაძინებენ „წესების“. თუ ეს
სპეციალისტები ხელი შეგვიძლიან, უკანას დაკ-
ხდებათ, მათ სახლებს დაწიგვათ და გაფანიავებთ,
რამ ხელი გახსნილი გვერდებს. ის სისასტემა,
რომელსაც იჩენენ ცერმანები ბეჭდიში ჩვენ

არ გვაძინების. უოგელ ჩამონიქნილ გერმანებს ჩვენ
დაფხვრეტავთ, თუნდ ქერდულად მიჰარებითა — აუგ-
რების ჩამოვაღწიასთ და ჭარისკაცების ჩაკუწიად
გამოვათ. ჩვენი ბრძოლა გერმანებით ნ, ამი კი
არ აქნება, არამედ განუწვევილი ამოგდება (Лин-
ცევანი). ასე ამბობენ ინგლისებები და სამწე-
ნარია, რამ კონტანტინიუს შაიბოვების ისეთი
ფორმადისცები, — უმატებს „ნორე კრე-
მია“, რომელიც არ გაიგდინთხუნ გერმანებს მა-
ლადითასთან ასეთი ბრძოლის აუცილებლადითათ.

ერთ-ერთისადმი სიძულეა გერმანებისა და
ინგლისელებისა, ეტოდა შეტან სასტიკ ფორმების
იდების. საზოგადო აზრი არ პირელ-ხარისხის
სისელმწიფოსი იახსოვს სისიველის ბრძოლას,
როგორც უკანი ამბობს, და სხილოდ კრისი
სცდების გერმანები — უმატებს „ნორე კრემია“:
ტეუტლადა ჭრიალო, რომ არის ან შეიძლება იყოს
განსხვავება კრთის შერით ინგლისელთა და მეორეს
შერით რესეტ-საურანგეთის გრძნობათა შერის.
გერმანებები იმეორებენ უკანის სიტუაციებს, რო-
გორც რაღაც არაჩეულებრივს, სასტიკს. ძალის
სამწენარია, რომ არ ესმით უბრალო რამ: უკანი
ამითს იმას, რასაც ფიქრობს უკანი ფრანგი,
ბეჭდისები და რუსი. გერმანები ჩვენ უკანას
შეგვაბეზრები თავი: დაზოგისა და სეპარატიზმ ზაგე
ისინი ვერსად ედინსებიან.

ჩვენ არ ვიცით სად ამოიკითხა „ნორე
კრემიამ“ უელსის სიტუაციები, მაგრამ თუნდაც ეს წა-
მოესროლოს ერთ ადამიანს, კაციჭამიის ფსიხოლო-
გიით უნდა იყოს გამსჭვალული ადამიანი, რომ მი-

სი აზრი გაასაზოვადოდოს და ქვეყნის ბაზარზედ ვა-
მოიტანოს. ინგლისის მთავრობა და პროგრესიული
პრესა, რომელიც უკეთესი გამომსახველია ინგლი-
სელთი სულისკეთებისა -- თამამად ამბობს, რომ იგი
ებრძის არა ყოველგერმანელს და გერმანელ ხალხს,
არამედ პრუსის მილიტარიზმს; იგი ამბობს, რომ
გამოდის საერთაშორისო უფლების და კანონების
დასაცავად და სწორედ ამით იჩიდავს მოელი ქვეყ-
ნის სიმპატიის და უელსის მართლაც ისტერიული

სიტუაციი, — თუ კი სადმე დაიწერა, — მარტო „ნო-
ვე ვრემიასთანი“ გარეცხილ რედაქტული თუ
იპოვის გამოძახილს რესეტშიაც. რესეტის პროგ-
რესიული პრესა ვერ აჰყვება ისეთ გამოცემულ ძა-
ხილს, რომელიც ამბობს „აფიტრების ჩამოვალისთვის
და ჯარისკაცთ ნაკუშ-ნაკუშად დავგლეჭვავთ“ და
ტულილად აზვევს თავის დვარძლიან გულის ნადებს
ბატონი „ნოვოე ვრემია“ რესეტის მოსახლე 160
მილიონ ხალხსა... მეტს აღარას ვიტუვით.

ოსმალეთის სასომხეთოს ბედი

„კავკ. სლოვო.“-სთან პოლემიკაში, „პორიზო-
ნი“ ამბობს:

„სომხერმა პრესის გამოსატევა ის აზრი, რთმ
ასმალეთის სომხების უნდა მიეცეს ფართე აგრე-
ნიშა; ექვსი სომხერმა ვილავი და ვილივია უნდა
ავტონომიურ შპარედ იყოს ადამიერებული. მაკრამ აქ
იმადება გაფეხბრთა, რომელსაც იზიარებს „კავკ.
სლოვო“. თსმალეთის სასომხეთოს შაგირ, გა-
ზეთი სწერს სახეგადოთ სომხეთის ავტონომია-
ზედ. „კავკ. სლოვოს“ აზრით, რთგორაც უნდა
თრგანიზაცია შეიქმნება თსმალეთის სომხებისათვის,
იგი გამოიწვევს მთელ რაგს საკითხებისას გავა-
სიაში. რითი ხელმძღვანელობს „კავკ. სლოვო“,
ამ გვარ საკითხის აღმყრაში, ამ სისხლის წყიმების
დროს, რაღესაც გავასიერდა სომხები დაიტერე-
სებულენი არის მხოლოდ თსმალეთის სასომხეთ
თა. სომხები დამრავლები განისაკუთრებათ თსმალე-
თის სასომხეთის ავტონომიაზედ. საკითხს დამა-
დების სომხებისა, რომელსაც საერთაშორისო სა-
სათა აქვს, ჩვენ არას დარს არ გავაშირებთ ჩვენ
სახელმწიფოს შახაგან საკითხებს, მამას დამე გავა-
სიედ სომხების დამარაგ შეუძლებელია. ეს ცხა-
დი უნდა იყოს რესულ პრესისათვისაც. საკითხი გავ-
კასიედ ერებისა არ უნდა იყოს გადამუშავი იმ და-
ვასთან, რომელსაც უწევენ სომხები თსმალეთის და
არავის უფლება არ აქვს აუზის ერთპანერთში ეს
თან საკითხი, ნამეტად იმათ, გისაცა სურს გა-
მომსახველი იყოს თსმალეთის სომხების სულის-
კეთებისა.“

მოელი ეს წერილი ამოდებულია გაზ. „Бა-
кы“-დან № 253. ჩვენ არ გვინდა ეჭვი შევიტანოთ
გაზ. „პორიზონის“ გულწრფელობაში, ვითომც კავ-
კასიელი სომხები არ კუავშირებენ კავკასიელ ერთ

საკითხს თსმალეთის სასომხეთოს საკითხს, თუმცა
ამისი უტუური საბუთები გვაქვს თვით „პორიზო-
ნისაგან“ ნაბოძები, მაგრამ ვსთვით ესეც არის, —
ჩვენ უნდა აღვნიშნოთ ორი მნიშვნელოვანი მოვ-
ლენა. ჯერ ერთი, „კავკ. სლოვო“ მეტ პოლიტი-
კურ ლოდიკას იჩენს ვიდრე „პორიზონი“, როცა
ერთმანეთს აბაშს ორ საკითხს: კავკასიელ სომებთა
და სხვა ერთი—ერთის შერით და თსმალეთის სა-
სომხეთოს საკითხის მეორე შერით; რადგან შეუძლე-
ბელია ეს საკითხები ცალკე იყვნენ განხილულ-დამ-
ტკიცებულნი; და მარტო სირაქლემასავით თავის
მიღვის ინ მართლაც „სისხლის წვიმებას“ თუ შეუ-
ძლიან დროებით კავკასიელ სომებთა საკითხი მეო-
რე პლაზები გადასწიოს თსმალეთის სასომხეთოს-
თან შედარებით. ასეთივე უცნაურობამ იჩინა ხომ
თავი მაშინ, როდესაც საკითხი აღიძრა გალიციელ
უკრაინელების შესინებ. მაშინაც გამოირკვა, რომ
გალიციელ უკრაინელების თუ ავტონომია მიეცათ,
ანუ უკეთ—თუ შერჩით, მაშინ რესეტის უკრაინ-
ლებსაც უნდა მიეცათ ავტონომია, ვინაიდგან შეუ-
ძლებელია ერთსა და იმავე სახელმწიფოში ერთი და
იგივე ერთ ის სხვა და-სხვა პოლიტიკურ ორგანიზა-
ციანოდენდეს — ეს სახელმწიფოებრივ მთლიანო-
ბის იდეას ძირიანად დაარღვევდა ასევე საკითხი
სომხებისაც; და ჩვენა ვფიქრობთ, რომ საკითხის გა-
დაწყვეტილი კი არა, უბრალო მიფუჩებები იქნებოდა
„პორიზონის“ მიერ განცალკევება ამ ერთი საკით-
ხისა, ვინაიდგან, გავიშეორებთ, სახელმწიფო ვერ
მოითხოვთ პოლიტიკურ სიქრელეს და ან უველ გზას
დაადგება, ე. ი. უველა და უველგან მოსახლე ერ-
თა ათევეფას ერთმანეთში, ან ახალს, ე. ი. ფართე
თვითმართველობისას და მაშინ კავკასიელ სომხების

საკითხიც ბუნებრივად დაუკავშირდება ოსმალეთის
სომხებისას.

შესაძლებელია „კავკ. სლოვოს“ და „პორიზო
ნის“ სულისკვეთება არც იყოს შეთანაბრებული,
რადგან „პორიზონი“ სომხეთის მთავარ ბაზას ხე-
დავს ოსმალეთში და იქ ეძიგბს უკეთეს პოლიტი
კურ ბედის, მაშინ როდესაც „კავკ. სლოვოს“ კავ-
კასიელი ხელმძღვანელნი მეტად შეკუებულნი არიან
კავკასიის სიამტკბილებს, რომ ოსმალეთში გადაიტა-
ნონ მთელი თავისი პოლიტიკური მისწრაფებანი. ამ
მხრივ „კავკ. სლოვო“ უფრო გულახდილიც არის
და უფრო პოლიტიკურად მოაზროვნება, შეოლოდ
ერთს ივიწყებს „კავკ. სლოვო“, რომ იგი „სლო-
ვო“ არის და „დელო“ კი სულ სხვას წარმოშობს
ხოლო.

უცნაური მოწოდება

ქუთათური გაზეთი „ახალი აზრი“ გვატყობი-
ნებს, თითქოს ობურგეთში ვიღაცის გავარცელები-
ნოს მოწოდება, ქართველებში ასალებთან შეგო-
ბრული განწყობილება უნდა იქონიონ და მათის
დახმარებით, ჭინებთან და ლაშებთან ერთად, საჭარ-
თველოს დამოუკადებლობა აღადგინონ.

ჩვენ არ ვიცით იყო მართლა ასეთი ფურცე-
ლი თუ არა. არც ის ვიცით, როგორ და რანაირი
საშუალებით ვრცელდება იგი ხალხში, ან ვ-ნ არის
შისი ავტორი და გამავრცელებელი. მაგრამ ასეთი
ფურცელი მართლაც რომ არსებობდეს, იგი ოდნა-
ვადაც ვერ შეარყევს იმ საერთო სულიერ განწყო-
ბილებას, რომელიც დღიდან თმის გამოკეაცებისა
ქართველ საზოგადოებაში დამკვიდრდა.

რეასის ჯარს აქვს საკმაო ძალა, რომ ჩვენი
ქვეყანა დაიფაროს და დაიცვის კოველი შემთხვევი-
საგან.

ეს რწმენა იმდენად დიდია და ერთსულოვანი,
რომ ყოველივე ცდა, რომე ეჭვი დაპხადოს ქართ-
ველ ხალხში და შეუცვალოს შეხედულება, უნაყო-
ფოდ ჩაივლის.

(„ბ გ.“)

ცოცხალი ლექტურა

ქართველ ერს დიდათ გვაუცემული ანტიკრისულით
თვის ქედა. ეს საძრახისი არ არის სამართლით, საკე-
ბურიც არის. ან რატომაც არ უნდა ვამაყობდეთ
ჩვენი წარსულით, როდესაც იგი დიდებას პლატა-
დებს? შერე ვინ ჰქონდა ამ დიდებას? რა თქმა უნ-
კართველი ერი! მერე, ვინ განამტკიცებდა მის
რწმენას? ვინ აქეზებდა მამულის სიყვარულში? რა
თქმა უნდა, ჩვენი სახელოვანი სამღვდელოება, რო-
მელიც არა თუ ერის სულის ჩამდგმელად გამოდი-
ოდა, არამედ იმ საუნჯის შემნახველადაც, რომ-
ლითაც დღეს ჩვენ ვამაყობთ, სახელდომი ჩვენი
ისტორიის გადმოცემით. წარმოიდგინეთ შავ-ბნელი
ხანა, ხანა ილოეგისა და შიშის ზარის, როდესაც
ურდითა შეძისევის დროს ერი გარბოდა მთასა და
ლრები. ვაიხსენეთ, თუ ამ დროს ჩვენი საბა-ბერნი
როგორ მიმოივლიდნენ მთა და ბარსა, როგორ
გაამხნევებდნენ დიდს და პატარას! მაგრამ აი, უფრო
საინტერესო სურათი: სადღაც წყურუებულ სენაკში,
სადაც მუიფარნი, თანმისი და ბქებარე ქარიშხალნი
მზეცთა ყმუილის კონცერტს შეხსლართვით, ვიღიც
მწირი სასოებით ლოცულობს; მორჩება ლოცვას,
კვარს აინთებს და დიდი სიფროხილით მოჰყვება ან
სამღვოო წერილის გადაწერვას, ან და ნათულის
აღწერას. აი, შას მელიანი შემოსკლდა, იგი კანს
იკაწრის, საკუთარის სისხლით განაგრძობს წერას.
სწორედ ამ დაუღალივება შრომამ, ამ განწირულმა
სულისკვეთებამ შეაძლებინა ჩვენს სამაყო შამებს
ჩვენთვის ეანდერდებინათ ის აუარებელი ძეგლი,
რომლითაც თვით ბრიტანიის მუხურმებიც თავს
შეკებდნენ. რამდენი რამ არის დატოვებული! რამ-
დენი რამ ილრღნება რჩილით და უპატრიონობით.
ვინ არის ამის ყურისმეგდებელი, ვინ? იქნებ გგონი-
ათ, რომ ჩვენი სამღვდელოება იქცევს შას ყურად-
ღებასა? მაგრამ სად არის! თვითეული მათვანი
ცოცხალ ლემად გარდაქცეულა, უსაქმოდ მჯდარი,
კანცელარიაში თუ შინა, თავისთვის სივდება და
ლპება. განა ღირსნი არიან თავიინთ წინაპართა
სახელწოდების? აბრეშუმის ანაფორი, ოქროს ჯვა-
რი, აი მათი იდეალი თუ ქველიდ სისხლის ცრე-
ლებით სწერდნენ, დღეს მყუდროებაში ოქროს
კალმებით მათი გადაწერა და მოვლაც ვერ მოუ-
ხერხებით. თუ ძველიდ მამები ხმლითა და ჯვარით
ერს მოუძღოდნენ წინ და ჯალათთა წინაშე არა

ურთოდნენ, დღეს ჩვენი მაჩები პოლიტიკურ ზამ-
ნრის სუსტის დროს გახატხულს ელიან და გაშაფ-
ხულიდან კვილიდ ზამთარს, მაშინ ამოვიდებთ ხშას,
ეხლა არა გვცილიანო რუსი ბიუროკრატი ნ. ლურნოვი
არამდ ამტკრევს სიუხისლის კავალს, ამა-
დ მოუწოდებს ჩვენს სამღვდელოებას თვით ისეთ
კანონიერ მოთხოვნილებისათვის, როგორიც არის
საჭართველოს ეკონომიკის დეტოკეფალი, მაგრამ...
რვივე ძილი... იგვე სიცოცხლითვე ლპობა... ხი-
დამპლე მაშ რის მაქნისია დღევანდელი სამღვდე-
ლოება? რაში იჩენენ მროშის უნარს? არც ერთი
ძხარე ჩვენი ცხოვრებისა მათ არ აინტერესებთ,

ისინი სულიერად დაიხოცენენ! თუ გამოვაკლებთ
ეპ. კირიონს, დავითს, ლეონიდეს, დეკანოზ კ. კე-
კელიძეს რომელიც ათას თანამდებობას უძლვება
და სიმეცნიეროდ თავის ძალ-ლონებს / არ იშუ-
რეს, მაშინ დაერიანვთ, უკრძალებული სა-
მღვდელოება ვროვად არა ლის, არც
ერთ ფარიად! მათი მისია უდარდელობისა და სიმ-
სუქნის მიღწევაში გამოიხატა. მათ მიაღწიეს მიზანს
და სწორედ ამ მიზნის მიღწევაში გარდავჭმნა ცოც-
ხალ ლეშებად.

ქართლელი.

მასალები სამულიორაციო კრებისათვის

(დამატება)

რომანოვის ფონდის კანონ-პროექტის უკეთე-
სად გასაცნობად, ჩვენ საჭიროდ ესთვლით გავაკ-
ნოთ მეითხველებს ზოგიერთი სხვა კანონ-პროექტე-
ბი, რომელთაც რამდენიმედ დამოკიდებულება
იქვთ საერთოდ რუსეთის სამელიორაციო საქმეებ-
თან.

მოყოლებული 1909 წლიდან, ვიდრე 1914-დე
სამელიორაციო კრებებზედ იყო განხილული მოე-
ლი რიგი საკითხებისა, რასაც განსაზღვრული დად-
გენილება მოჰყვა

რუსეთის სამელიორაციო კრების საბჭომ შექ-
დეგში თავი მოუყარა ყველა ამ დადგენილებათ,
განხილულ საკითხებიდან გამოარკვია საქმის ვითა-
რება და გამოიტანა თავისი დასკვნი; მოელი მა-
სალა გამოსუა ხუთ წიგნაյად, რომელებზიაც მოქ-
ცეული საკითხები: საორგანიზაციო, სამოსწავლო,
სამეცნიერო და საფინანსო; ყოველი ამათაგანი
ცალ-ცალკე.

იქ მოგვყავს რამდენიმე ნიმუში ამ კრების
საბჭოს გადაწყვეტილებისა.

1) მიწის გასაუმჯობესებელი ამხანაგობანი,
მიწათ-მოქმედების და მიწათ მოწყობის უწყებაზ
შეიმუშავა კანონ-პროექტი მიწის გამაუმჯობესებელ
ამხანაგობათა, რომელიც ფინანსება შემდეგ პირთ
ბებზედ. ამხანაგობას შეაღენს რამდენიმე პირი,
რომელიც შეიმუშავებენ წესდებას და წარუდგენენ
გამუშერნატორს დასამტკიცებლად. ნიმუში ასეთის

წესდებისა უკეთ შემუშავებულია მიწათ-მოწყობ
უწყებისაგან.

ახლად შემდგარ ამხანაგობათ შეუძლიანთ შეი-
ტანონ ასეთ წესდებაში შეცვლა ფსონის (პაის)
რაოდენობისა და გასავალის მოწყესრიგების შესახებ,
ასეთი ცვლილება შეუძლიან შეიტანოს წესდებაში
ამხანაგობამ თუ მსურველია ამხანაგობის შემაღებე-
ლობის ორი მფლობელი ინ თუ მესამედზედ მეტი.

როდესაც ამხანაგობა გააუმჯობესებს რომელი-
მე წევრთაგანის მიწას ან გასწევს რიცხვ ბარჯს მის-
თვის, შეუძლიან ივრედვე ასწიოს ან დასწიოს გადა-
სახადი წევრისა იმისდა მიხედვით თუ რამდენად
სარგებლობს იმ საქმით, რომელიც გააკეთა ამხანა-
გობამ, ან თუ სარგებლობს რამდენიმე წევრი მა-
შინ ამ წევრებს დაკისრებს გადასახადს სარგებლო-
ბისა დავვარად.

თუ ამხანაგობამ თავისი მოქმედებით ასარგებ-
ლა და მიწა გააუმჯობესა ისეთ პირსაც, რომელიც
ამხანაგობაში არ არის და არც პსურს ამხანაგო
შესვლა, მაშინ ამხანაგობის შეუძლიან კანონით
მოითხოვოს ამნატრი პირისაგან მისი შესატე-
რისი გადასახადი. თუ ამხანაგობის საქმე მოითხოვს
თავის მოქმედებას ისეთი პირის მიწაზედაც, რომე-
ლიც არ არის წევრი ამხანაგობისა და წინაც
ალუდვა ამხანაგობას საქმის განხორციელებაში, ამ
შემთხვევაშიაც ამხანაგობამ უნდა სამართლით შო-
იანოვოს წინააღმდეგ პირისაგან თანხმობა.

ყოველი ამგვარი მოთხოვნილება ამხანაგობათა კერძო პირებისადმი უნდა იყოს მიმართული საშაზრო კომისიაში სასოფლო მეურნეობის წესდების მე-160 მუხლის ძლით.

წევრი რომ გამოვიდეს ამხანაგობილი საჭიროა თანხმობა მის გასვლაზედ ამხანაგობის შემაღენლობის ორი მესამედისა ან მეტისა.

ამხანაგობა შეიძლება მოისპოს შხოლოდ მისი ცველი წევრის სურვილით.

2) სიმელიორაციო მოქმედება საერთო ხასიათისა.

მიწათ-მომწყობ უწყებასავე იქნება შემუშავებული კანონ-პროექტი მიწის გაუმჯობესებისა და გაუმჯობესებულ მიწის გაფუჭებისაგან გადარჩენისა, როდესაც ამ საქმეს ეწევა ირა კერძო პირი ან ხაზოვადობა, არამედ ერობა ან მშართველობა.

ამ კანონ-პროექტის მთავარი დებულებანი შემდეგია.

თუ ერობას ან მშართველობას—მწარიან შეიტანოს რამე გაუმჯობესება მამულში, ან გაუმჯობესებულ მამულის შენახვაზედ ზრუნვა საერთო სარგებლობისადა მიხედვით, მაშინ ურთიერთ თანხმობით ამართავენ ერთად კრებას, რომელზედაც განიხილავთ საქმის ტეხნიკურ მხარეს, სამოქმედო მამულის რომელნობას და ხარჯის გაღების რიოდენობას.

შესაფერისი საქმის გამორკვევა ასეთის პროექტის შესაღვენად ხდება თანახმად სასოფლო მეურნეობის წესდების მე-264 მუხლისა. (კანონ. კურიული, ტომი III, ნაწ. მე-2, 1903 წლ. ვამოც.).

როდესაც ტეხნიკურ პროექტს შეაღვენენ ისეთ საქმისათვის ხატონბო ან სამშართველო დაწესებულებინი, შემდევში შეიმუშავებენ წინასწარ ხარჯთაღრიცვას, თუ ვინ რამდენი ხარჯი გასწიოს. ერობაში, ხაზინაშ და კერძო პირებმა და იურიდიკურ იმას იმ დაწესებულებებს და იმ პირთ, ყისაც საქმე შეეხდა.

დასასრულ, ხარჯის განაწილებისა სამელიორაციო საქმისთვის, რომელსაც საერთო სარგებლობა მოაქვს, ხარჯს გადაიხდიან: ა) ზაზინისას—მთავარი სამშართველო მიწათ-მომწყობისა და მიწათ-მოქმედებისა, ბ) ერობისას—საერთო კრებები თვისი დამტკიცებით და გ) კერძო პირებისა—თვით კერძო პირი. თუ კერძო პირთ უარი განატადეს მარჯის გაღებაზედ, მაშინ მათ წინააღმდეგ იწარმოებს სემოდ დასახელებული მე-260 მუხლი სასოფლო მეურნეო-

ბის წესდებისა სამართლო კომისიის საშუალებით.

როდესაც პროექტი შემუშავდება მიწათ-მომწყობ მთავარ სამშართველოსაგან, მაშინ საჭირო დამწყები დაწესებულება, ერობა იქნება ის თუ მმართველობა, მიმმართვებს კერძო პირთ, რათა იგინი შეუდგნენ საქმეს ან კალკ-კალკე, ან კადევ ერთად როგორც საზოგადოება.

მკვიდრი.

გერმანელთა ოცნებანი

მას შემდეგ, რაც ომის ღმერთმა ევროპის სახელმწიფოთა ზარბაზნების კონცერტი დააგუშუნა, სიკვდილის ლანდმა წამოჰყო თავი და შემზარავი სახით თავზე დაპხარხარებს არა თუ პატარ-პატარა ერებს, არამედ თვით პირველ ხარისხოვან სახელმწიფოებსაც კი. განსაკუთრებით სიმკაცრეს თვი იჩინა გერმანიისა და ინგლისის შუა: „ან ერთი, ან მეორე!“ აი ის ლამაზასიათებელი ხათაური, რომელიც დაერქვა მათ წინ გადაშლილ ომის ვალსა.

რატომ მოხდა, რომ უმთავრესად ეს იმა სამეცნ შეეჯაზო? რა იყო ამის მიზეზი? ნუ თუ პატარ-პატარა გერმანელების მიერ ბელგიულია ნეიტრალიტეტის დარღვევა? რა თქმა უნდა, არა! ამაზეც თრთავებს თავ-თავიანთი გასამართლებელი საბუთები აქვთ: უმთავრესად მეტოქეობა! ინგლისი ზღვითადელოფლად ითვლება. მთელი საზღვაო ვაჭრობა მის ხელით იყო. აღმოსავლეთი, დასავლეთი თუ ჩრდილო მშერიყა ვაჭრობის მთავარი ასპარეზი იყო, სადაც მისი აფრი-გამა იღებდები დასკურავდნენ. მაგრამ დადგა ცრო, ბისმარკის მიერ გაერთიანებულმა გერმანიამ წელი გაიმაგრა. მისი ზრდა დღიოთ-დღე საოცარ სახეს იღებდა. მინა მრეწველობა, გარედ კიდევ ხელის გაშლა და ნელ-ნელა ახალ-ახალი ხომალდების აგება, რა თქმა უნდა, შეუმჩნეველი არ რჩებოდა ინგლისს, შეურის ძიება ისადგურებდა მის გულში, რომ მოხერხებული მომნიშვნი შეერჩია და აღრევე ფრთხი დაეყრევანებინა ტევზონთა ველურ გენიოსიბით მოხაზრდოვე თანამედროვე გერმანიისთვის.

მაგრამ თუ ფრთხილი ზღვის დედოფალი ამ ფიქრებში იყო, თავის მხრით, წათამამებული გერმანიაც ოცნების ფრთხებსა მღილა, გულში თავის მომავალ ბედს ნეტარებით შემხაროდა, უკვე შარავანდედით მოსილ მომავალ გერმანიის იმპერიის ბროლის კოშკებად აშენებდა და ხალხსაც ამ სანეტარო დღისთვის ამზადებდა. რაში გამოიხატა ეს სამზადისი? ან რატომ ვერავინ ამჩნევდა მას? ამ კითხვებზე რომ გუპასუხოთ, საქმარისია ოდნავი ოვალი გადავავლოთ დღევანდელ ომის გამო თვალ გახელილ პრესას, რომელიც ფარიდასა პხდის გერმანელთა უკანასკნელ ხანებში გამოსულ ლიტერატურას, სადაც ნათლიადა სჩინს მათი ზრახვანი, მათი ოცნებანი. სანიმუშოდ თეალი გადავავლოთ უცნალ-გაზეობში გაბნეულ ანგარიშებს გერმანელთა კაზმულ ლიტერატურაზე: ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე გერმანიაში გამოსულა ერთი რომანი: „მომავლის უმი“, სადაც ინგლისია და გერმანიის შორის ომის შესაძლებლობაზე ლაპარაკობდნ. მართალია, რომანში ინგლისელები პირველნი გადმოდიან გერმანელთი ტერიტორიაზე, მაგრამ საბოლოოდ ეს უკანასკნელი იმარჯვებენ. არის მეორე რომანი, სადაც აწერილია ომი, რომელიც ვითომს 2006 წ. მოხდებოდა: ე. ი. ტეხნიკის საოცარ განვითარების დროს. 1905 წ. რომანისტს ნიმანს დაუწერია მოთხოვთა „გერმანელის ოცნება“, სადაც თითქმის აღმოჩენით აღნიშნავს ინგლისის საზღვო ბატონობის, რომელიც შედე მოვლის მსოფლოს ხელში ჩაიგდებს“. აქ ავტორი გადაჭრით აღნიშნავს, რომ ამ გვარ ბატონის თავიდან მოსაცილებლიდ საჭიროა გერმანია და რესერო შეერთდეს.

განსაკუთრებით კურადღების ღირსია ერთი ეპიზოდის აღწერა, სახელდობრ გერმანელთა ჯარების გადასხმა ინგლისში: გერმანელთა ჯავშნისნები ნელნელ უიზლოვდებიან შოტლანდიის ნაპირებს. „ვიღმელმ-დამპურობელიდან არც ერთმა უძლიერეს ვა მტერმა ინგლისისამ თვით ფილიპე II-მ და ნაპოლეონმაც კი ვერ მოახერხეს ინგლისის შიწახე ჯარი გადაეყვანათ. ნე თუ გერმანია კი მოახერხებს?“ შემდეგ აწერილია, თუ წყალ-ქვეშა ნავებით

როგორ გიღადიან ედინბურგ-კესტილის ნაპირებზე და აქედან მიემურებიან ლონდონის ჭე, ნაპირზე გერმანიის ფლოტი ბყარაულობს, ომის ინგლისის დამირცხებს და ომსაც ბულეთი მოფლება. ინგლისი გერმანიის ახალშენადა ზღვება.

ამ გამარჯვებით დამთვრიალი მხედაროსიავარი სიამოვნებით იყსება, თვალები უბრწყინავს: „დღევანდელი დღე დიდებული დღე, — ამბობს იგი: დღეს მათი დიდებულება წვენი იმპერატორი ლონდონში შებრძანდება. ღმერთმან ინებოს, რომ ეს იყოს უკანასკნელი ომი მომავალ გერმანიის საბედნიეროდ!“

ასეთი ოცნებით იკვებებოდა თანამედროვე გერმანია. ვ. ფრიჩეს მოწმობით, ეს რომანი თითქმის აბალგაზდობის სახელმძღვანელო წიგნიდ გარდაიქცა. ახალგაზრდათა იმედები თავბრუ დამსხმელ სიამაყემდე გადადიოდა და შოუთმენლად ელოდა სანატრელ დროს. ამ ეამმაც დაჰკრა, ომის ნაწინათი აღხსრდილი ახალგაზდობა ხმილსა და მუხარიდა იკრავს და ინგლისის დამარცხების იქით მთელ ქვეყნის დაპყრობაზე თაცნებობს...

დიოგენი.

ბალგანეთის საკითხი

სამთა შეთანხმების დიპლომატები, რაც ძალი და ღონე აქვთ, ცალილობენ ბულგარეთი და სერბია ერთმანეთს დაუახლოებონ. მაგრამ, როგორც გადმოგვცემენ, დაინტერესებული მხარეები ვერ ურიგდებიან ერთმანეთს.

ბულგარეთის პასუხისმგებელი დიპლომატი, რომელიც ამ მოკლე ხანში სოფიაში მოვიდა და ძალიან კარგად იცნობს ბულგარეთის მთავრობის სურვილებს, ამბობს:

„სანამ ბულგარეთის ხელშეკრულობა არსებობს, ბულგარეთისა და სერბიის დასავალებაზე დაპარაზიტურ არ შეიძლება. უკანასკნელი შეიძლება იმაზე, რომ ბულგარეთი სურბიან მიემჟელოს, სანამ ქედად

მანვე ბულგარეთის ქუთვნილი მაკედონია სერბიას
უჭირება. ბულგარეთის საზოგადოებრივი აზრი,
ბულგარეთის პოლიტიკური მოღვაწეების დამთუკიდებ-
ლად, პარტიულ განსხვავებისა, მთელი ბულგარეთის
საფრთხო, სედ იმას დადადებს, რომ ბულგარეთის
კერ უნდა მაკედონია დაუირუჩდეს. მართალია, ეხ-
ლა იმას ჩაგვარჩეულებებს, თქვენი კრიკნული სა-
კითხი შაბედონით არ განისაზღვრება, თქვენ უნდა
იზრუნოთ ბალყანეთის მეორე დამის ღრცეს წარ-
თმებული ფრაგია ადრიანითოლიანათ დაიბრუნო-
თ; ცდილობენ ბულგარეთის სურვილები ამ მხა-
რისაკენ მიმართონ, მაგრამ ბულგარების ფიქრო-
ბენ, ადრიანითოლი ბალოს და ბოლოს უმისილად
ისეგ ჩვენ დაგვრჩებათ. იქნება, ბულგარეთისათვის
არც კი არის ოძი საჭირო, რომ ადრიანითოლი
დაიბრუნოს. იქნება, თუმც ჯერ არ არის დამტკი-
ცებული, ასმალეთი დასთანხმდეს კიდეც და უდა-
ვიდარაბოდ გადმოგვცეს ადრიანითოლი, თუ გა-
ბოლოვარია წევტრალიტეტს დაიცავს. მაგრამ ამაზე
დაპარაკი მერმე; ამ საათს მორიგ საკითხად ეს არ
ითვლება. მე სხვა გარემოება მაღალუებს. რესერვის
საზოგადოებრივი აზრი, პრესასა და მთავარ დის-
ლოდმატებს შორის, — არათუიციალურად, — ბულგა-
რეთს ათასობით მოთხოვნილებათ უერებები წინ და
ამასთანავე ლაპარაკობენ რადაც ძალიან გამოურჩე-
ველ, ბუნდოვან კომპესაციებზე. როგორც სხახს,
მარტო სერბიამ, და საბერძნებომ გამოხახეს სრუ-
ლიად რეალური, კონკრეტული წინადადება. ხომ
ძისცეს საბერძნებოს კბილის დაწერის ხება, ხომ
სერბიასაც დაჭვირდნენ, ბოსნიას, ჭურუებონას,
დალბაციას და კიდევ სხვა რაიმეს ძიღვები. ამა-
ნას დაჭვირდნენ ბულგარეთს, რისთვის უნდა იხ-
სხის ბულგარეთმა ძისთვის საზონდარი სერბია, —
სერბია, რომელიც არ დაკმაყოფილია მაკედონიის
წართმევით და, — როგორც დასამდევილებით ვიწოდ
კადეც, — ზავით შემქან საბერძნებოს და რუმინიას
ბულგარეთის წინადადმდებებ? არა, ბულგარეთი სერბიას
გადასარჩეხად არ გაემზადება, ურ გამოცემს დან-
გისთოვენ წამოსახხების მოვდებას და ხად ავან-
ტიურიას არ გამოუკიდება. ბულგარეთის წინ კან-
კრებული მიზანი დასა, კოხკრეტული სკოთხი,
რომლის მიღწევესაც ეცდება. თავის დღეში არ უნ-
და დაგივიწეოთ, რომ ბულგარეთი უმაკედონით
კერ იარსებებს. ეს ალიუ და თბებაა ჩვენი პოლი-
ტიკური საკითხებისა და ჩვენ კრთვნულ ზრახვით.
მე არ გამომო, — სოჭვა, ბოლოს დიალოგშატმა, —
რომ კომპრომისები სრულიად შეუძლებელი იყოს,

მაკრამ თუ იქნება, ისიც მხოლოდ ამ ნიადგზე და
ისიც ისეთი, რომელიც ბეჭდგარეთის / სურვილების
ჭახანია და იშტიბით არ განსაზღვრავს / ეს ბეჭ-
დგარეთს არ დააკმაყოფალდება, ამაზე ბეჭდგარეთი არ
დაპირებდა“. („რუს. გერ.“) ვართ მარტივ

ჩვენი დაჭრილები

თბილისში ხმა გავრცელდა, რომ ქართველ
დაჭრილებს ჩრდილოეთ კავკასიის ქალაქებში ჰეზევა-
ნიან: არმავირში, პიატიგორსკში, კავკავში და სხვა
ქალაქებში.

ვერ წარმოგვიდგენია, რომ საქართველოს სატანტო ქალაქში ქართველ დაჭრილებისათვის ადგილი არ ყოფილიყოს.

შიო უფრო, რომ ყველა სხვებისათვის ასეთი
აღვილები მრავალია.

რით ავხსნათ ასეთი მოვლენა, როდესაც ქართველ დაჭრილებს სამშობლოს აშორებენ?

ან უნდა ავხსნათ ჩვენი ქართველობის დაუ-
დევრობით ან და ოფიციალურ ხმები ქალაქში დადის
ტენდენციურ ამორჩევით:

სომხებს აქ არჩუნებენ, ქართველებს კი რეა
ჰერციგნიან.

ତଥ୍ ମାରୁତିଲୁ ବେଶ... ପ୍ରିଯେଶ୍ୱର...

ჩვენის წარმოდგენით თბილისის ყველა ლაზა-
რეთები ყველა ერთვნებისათვის საჭრო უნდა იყოს...

არ უნდა იყოს ქართული, სომხური და რუსული ლაშარეთები, არამედ ლაშარეთები ცველა დაქრიცლთათვის.

სარაც სომხის სისხლი იღვრება უკ არა ნაკლებ ქართველ ერისა, და უსიტოსაც იღვრება...

მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ ეს უცნაური ხმელი არ არის მართალი და ქართველ დაჭრილ მკონართიც თბილისის ლიზარეთებში საკმაო საწოლებს დაუთმობენ და წესიერიდ მოუკლიან ავადმყოფებსაც.

ବାହୁଦା.

ରେଡାକ୍ଟିନିଗ୍ରାମପ୍ରେସ୍

ၬ. ဂုဏ်ချွေလွှာ

მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.

თოვალ კვირა საზოგადო-ეკონომიკური

და სალიტერატურო ჟურნალი

„კლირი“-ჟურ.

ფასი წლის ბოლომდების თათხმეული ძაური

ცალკე ნომერი ზველგან 10 კაპ.



მოაგითხეთ ეკალა მეგაზეთუსთან

თბილისში - გა სუ თი

„ახალი ქართველი“

გამოდის ქ გორში, გვირაში ორჯელ—ხუთშაბათობით და

გვირათობით. ცალკე ნომერი ღირს ერთი შაური. დაკვეთით წლის დამლევაშიდე 80 კა. ხელის მოწერა მიიღება ივ. ფილიშვილთან, წერა-კოთხის გიმავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში და გაზეთის თბილისელ ივენტოან ვიქ. მექანიზმისთან, დოშეთის ქუჩა № 31.

